თბილისის სააპელაციო სასამართლოს

მოსარჩელეების- ნატო სუბარისა და ლილე ჩხეტიანის

წარმომადგენლის-ეთერი გვრიტიშვილის (პ/ნ 01027082749; (სიითი N6931)

მის: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N12ბ

ტელ:555205203;



კერძო საჩივარი

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის განჩინება (საქმე N3/2005-19)

საჩივრის მოთხოვნა: გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის განჩინება (საქმე N3/2005-19) და დაკმაყოფილდეს მხარის შუამდგომლობა, სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე;

მითითებული დავა შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის და ნაკრას თემების ტერიტორიებზე, სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ დაგეგმილ 280 მგ.ვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა, წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას გარემოსდაცვითი საკითხები, მათ შორის ჰიდროენერგეტიკული პროექტების განვითარების შედეგად ადგილობრივი სოციალური და ეკოლოგიური გარემოს დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო მოსარჩელეები ნატო სუბარი და ლილე ჩხეტიანი წარმოადგენენ უშუალოდ იმ თემის (ჭუბერის თემი) მაცხოვრებლებს, სადაც დაგეგმილია საპროექტო სამუშაოები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული სარჩელით, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინააღმდეგაა წარდგენილი მოსარჩელე მხარე მოითხოვს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების ბათილად ცნობას, ამავე დროს მოსარჩელე მხარე შუამდგომლობდა სადავო აქტის მოქმედების შეჩერებაზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის განჩინებით (საქმე N3/2005-19) მხარეს უარი ეთქვა მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. კერძოდ კი, განჩინების თანახმად „სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებანი, არ ქმნის საფუძველს შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად. ამასთან, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სამართალწარმოების ამ ეტაპზე შეუძლებელია სადავო ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ეჭვის დასაბუთებულობის დადგენა, ხოლო სადავო აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან წარმოადგენს საქმის არსებითად განხილვის საგანს.“

მოსარჩელე მხარე არ ეთანხმება მითითებულ არგუმენტაციას და მიაჩნია, რომ სასამართლოს განჩინება არ არის სათანადოდ დასაბუთებული, მათ შორის სასამართლო საერთოდ უყურადღებოდ ტოვებს აქტის შეჩერების მიმართ გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისა და ამ მექანიზმის გარეშე მოსარჩელეების კანონიერი უფლების ან ინტერესის შემდგომში დაცვის საკითხს, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

კერძო საჩივრის დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე მოითხოვდა სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების მოქმედების შეჩერებას.

2019 წლის 4 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება N2-110 „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“. ბრძანების თანახმად, მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანიზაცია და პროცესი უნდა პასუხობდეს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას საჯარო ხელისუფლების მიმართ მისი უფლების ეფექტურ დაცვაზე. ეფექტური მართლმსაჯულება გულისხმობს არა მარტო დარღვეული უფლების აღდგენას, არამედ დროებით დაცვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, **საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უფლების პრევენციული დაცვა. (საქართველოს უზენაესი სასამართლო №ბს-1013-1009(2კს-17) 22 თებერვალი, 2018 წ.**

სასკ-ის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის ღონისძიება - გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას.

ადმინისტრაციული სამართლისთვის დამახასიათებელია სუსპენზიური ეფექტის, როგორც უფლების დაცვის პრევენციული საშუალების არსებობა, რომლის მეშვეობითაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება დროებით ჩერდება, კერძოდ, გასაჩივრების შემდგომ, საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე ან სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სასკ-ის 29.1 მუხლის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლო წარმოებაში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამასთანავე, მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურად არ ჩერდება. სადავო აქტი, კი ზუსტად ასეთ საგამონაკლისო აქტთა კატეგორიაში ექცევა.

სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მხარის მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება **თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე** ან თუ **მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვას.**

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ერთმანეთს უპირისპირდება მომავალში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საჯარო ინტერესი და მხარის ინტერესი, ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ორივე მხარის კანონიერი ინტერესი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის შეზღუდვით იმ გონივრულ ფარგლებში, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვისათვის. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების შედეგად, რაც გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასა და აღსრულების შეჩერებაზე არსებული ინტერესების ურთიერთშეპირისპირებას. ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება ნიშნავს მისი მოქმედებისა და ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. დავის სასამართლოში გადაწყვეტამდე კანონი უბრუნებს პირს იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე. (საქართველოს უზენაესი სასამართლო №ბს-935-927(კს-16) 09 მარტი, 2017 წ.)

სასამართლო სადავო განჩინებაში მხოლოდ აბსტრაქტულად მიუთითებს იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებანი, არ ქმნის საფუძველს შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად. „ამასთან, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სამართალწარმოების ამ ეტაპზე შეუძლებელია სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ეჭვის დასაბუთებულობის დადგენა, ხოლო სადავო აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან წარმოადგენს საქმის არსებითად განხილვის საგანს.“

მოცემულ შემთხვევაში სარჩელში წარმოდგენილი სამართლებრივი დასაბუთება, ქმნიდა დასაბუთებულ ეჭვს აქტის უკანონობის თაობაზე.

კერძოდ კი, სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილმა პროექტმა, რომელზეც 2015 წლის ოქტომბერში გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, განიცადა მნიშვნელოვანი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ცვლილებები.

პროექტის ტექნიკური, ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ცვლილებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- **კაშხლის ღერძის ცვლილება** - მარჯვენა ბურჯი გადაადგილება 100 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით, ხოლო მარცხენა ბურჯი 50 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით;
- **კაშხლის სიმაღლის ცვლილება** - ნენსკრას კაშხლის სიმაღლე 135 მ-დან შემცირდა 125 მმდე და შესაბამისად შემცირდა წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი 3.0 კმ2-დან, 2.7 კმ2-მდე;
- **კაშხლის კონსტრუქციის ცვლილება** - ქვანაყარი კაშხალის თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ასფალტის გული, შეიცვალა ასფალტის ეკრანით;
- **ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრის ცვლილება** - პროექტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით ორჯერ გაიზარდა ნენსკრას კაშხლიდან ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრი (ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობა არ შეცვლილა);
- **ჰიდროსაიზოლაციო კედლის სიღრმის გაზრდა** - ნენსკრას კაშხლის საძირკველში არსებული ალუვიური ნალექების ეროზიის რისკის შემცირების მიზნით, ჰიდროსაიზოლაციო კედლის სიღრმე ნაცვლად თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული 65 მ-სა, მიღებულია 85 მ;
- **ნაკრას წყალმიმღების ადგილმდებარეობის შეცვლა** - ნაკრას წყალმიმღების და წყალგამტარი გვირაბის შესასვლელი პორტალის ხეობის ზედა ნიშნულებზე გადანაცვლება დაახლოებით 622 მ-ით;
- **ნაკრას წყალმიმღები გვირაბის დიამეტრის ცვლილება** - დიამეტრი შემცირდა 4.5 მ-დან 3.5 მ-მდე;

ტურბინების რაოდენობის ცვლილება - ოთხი ტურბინის ნაცვლად, იგეგმება სამი ტურბინის დამონტაჟება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნენსკრა ჰესის პარამეტრების ცვლილებასთან ერთად, საპროექტო არეალში 2018 წლის 5 ივლისს განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად, შეცვლილია ბუნებრივი და სოციალური გარემოც, რაც შესწავლილი იქნა შესაბამისი დარგის მკვლევარების მიერ და კლიმატის ცვლილების შედეგად გააქტიურებული პროცესებად შეფასდა, თუმცა აღნიშნულ უმნიშვნელოვანესი გარემოება საერთოდ უყურადღებოდ არის დატოვებული სამინისტროს მიერ. ყოველივე აღნიშნული ცალსახას ხდიდა განახლებული გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საჭიროებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა ეხელმძღვანელა კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, აღნიშნული საქმიანობა აუცილებლად ექვემდებარება გზშ-ს; მიუხედავად იგივე სახელწოდებისა, განსახილველად და სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად მესამე პირის მიერ წარდგენილი იქნა ახალი პროექტი (განსხვავებული ტექნიკური გადაწყვეტით, შეცვლილი მდებარეობით და შეცვლილი გარემო პირობებით), რომელიც წარმოადგენს კოდექსის პირველი დანართით განსაზღვრულ საქმიანობას (5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია), რომელიც აუცილებლად ექვემდებარება გზშ-ს ანგარიშს.

სარჩელის ძირითად მიზანს წარმოადგენს ძირითად მიზანს წარმოადგენს დაიცვას სვანეთის, კერძოდ კი, მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის და ნაკრას თემების ტერიტორიები იქ არსებული ეკოლოგიური და სოციალური გარემო უკანონო ჩარევისგან და ისეთი საქმიანობის განხორციელებისგან, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს იქ არსებულ გარემოს. სამინისტრომ სადავო აქტით დასაშვები გახადა V კლასის 280 მგ.ვტ. ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მშენებლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანმდევი კვლევების გარეშე. განახლებული გზშ-სა და შესაბამისი განახლებული შემარბილებელი ღონისძიებების არარსებობა არსებითად გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ჰესის მშენებლობის პირობებში იქ არსებულ გარემოს, რამდენადაც სადავო აქტის გამო არ არსებობს მესამე პირის საქმიანობის გარემოსდაცვის მიმართულებით შემზღუდავი და საზოგადოებისთვის განჭვრეტადი დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის სამინისტროს უკანონო გადაწყვეტილების შედეგად, თუ სასამართლოს მიერ არ მოხდება სადავო აქტის მოქმედების შეჩერება, მესამე პირის მიერ დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც არსებითად ითვისებს სვანეთის 2 მნიშვნელოვან ხეობას (ნაკრას და ჭუბერის თემები) აშენდება ძველი და დღესდღეობით არსებული პროექტისა და გარემოსთვის სრულიად შეუსაბამო კვლევებსა და გზშ-ზე დაყრდნობით. შესაბამისად, ახალი პროექტის ფარგლებში არ იარსებებს არცერთი შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად რეალურად შეაფასებდა ჰესის მშენებლობის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის საფრთხეებს და დაგეგმავდა შესაბამის პრევენციულ ან/და შემარბილებელ ღონისძიებებს.

სასამართლოში დავის მიმდინარეობის პერიოდში სადავო აქტის მოქმედების შეჩერება შედის როგორც მოსარჩელის, ასევე სახელმწიფოსა და მესამე პირის ინტერესებშიც. კერძოდ, ამ ეტაპისთვის მესამე პირს სს „ნენსკრა ჰიდროს“ არ გააჩნია მშენებლობის ნებართვა სკრინინგის ეტაპზე წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე, შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროს აქტის მოქმედება არ შეჩერდება, მესამე პირს შესაძლებლობა ექნება მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა და განახორციელოს V კლასის სამშენებლო ობიექტის სამუშაოები, ყოველგვარი გარემოსდაცვითი კვლევებისა და შემარბილებელი ღონისძიებების გარეშე. სასამართლოში დავის მიმდინარეობის პერიოდში სადავო აქტების მოქმედების შეჩერება, კი მოახდენს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების პრევენცირებას და შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სადავო აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მესამე პირი თავიდან აირიდებს უსაფუძვლოდ გაღებულ ხარჯებს, ხოლო სახელმწიფო, მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის შესაძლო ანაზღაურების ვალდებულებას.

თუ სასამართლოს მიერ სადავო აქტის მოქმედება არ შეჩერდება, მითითებულ დავასთან დაკავშირებით სასამართლო დავა გახდება მთლიანად ილუზორული, რამდენადაც სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში დადგება ის შედეგი რის პრევენციის მიზანსაც ისახავს მოსარჩელე მხარე მითითებული სარჩელის აღძვრით, შესაბამისად იმ პირობებშიც კი თუ მომავალში სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება შეუძლებელი გახდება მისი აღსრულება, რამდენადაც სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში ვერანაირი მარეაბილიტირებელი/სადემონტაჟო და ა.შ ღონისძიება ვერ შეძლებს გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე!“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; ე1) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

მოცემულ შემთხვევაში, სადავო განჩინებაში იმ ერთი აბზაცის გარდა, რომელიც მიუთითებს, რომ „„სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებანი,

არ ქმნის საფუძველს შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად. ამასთან, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სამართალწარმოების ამ ეტაპზე შეუძლებელია სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ეჭვის დასაბუთებულობის დადგენა, ხოლო სადავო აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან წარმოადგენს საქმის არსებითად განხილვის საგანს.“ ვერნაირ სამართლებრივ თუ ფაქტობრივ დასაბუთებას ვერ ვხდებით შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმასთან დაკავშრებით. ასევე ხაზი უნდა გაესვას, რომ სასამართლო საერთოდ არ აფასებს და ყურადღების მიღმა ტოვებს იმ გარემოებას, რომ სადავო აქტის არ შეჩერება **შეუძლებელს გახდის მოსარჩელის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვას,** რაც კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, აქტის შეჩერების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, არასათანადოდ იქნა შეფასებული და დასაბუთებული სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები მხარის მიერ დაყენებულ მოთხოვნასა და დასაბუთებასთან, რის გამოც მიგვაჩნია რომ წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს.

05.04.2019

ეთერი გვრიტიშვილი

თანდართული დოკუმენტები: სულ ფურც. „ 7 “

1. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

საგადასახადო დავალება # 0 GEL ს.ს. „თიბისი ბანკი“
Payment Order

08/04/2019 10:42:17 AM

თარიღი / Date: 08/04/2019

გადამხდელი / sender	ეთერი გვრიტიშვილი, 01027082749
რეფერენსი / Ref. Num.	2575924621
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account	GE24TB7764345061600004
თანხა / Amount	50.00 GEL
გადამხდელის ბანკი / Sender's bank	სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი / Bank Code	TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name	ააიპ მწვანე ალტერნატივა
საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code	204952676
თანხა სიტყვიერად Amount in words	ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი
მიმღები / Receiver	ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ
გადარიცხვის საკომისიო Transfer Fee	0.9 GEL
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code	300773150
მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი / Bank Code	TRESGE22
ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date	08/04/2019
გადახდის დანიშნულება / Operation Details	სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში განსახილველ საკითხებზე
დამატებითი ინფორმაცია / Additional information	სახელმწიფო ბაჟი ლილე ჩხეტიანის და ნატო სუბარის კერძო საჩივარზე
ხელმოწერა Signature	

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

თიბისი ბანკი
TBC BANK
1916
კოდი CODE TBCBGE22

ოპერაციონისტი

ბანკის ბეჭედი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge ... წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება ... საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

2575924621

003014304

საქმე № _____

1. From (Collection Address)

Name:

Address:

City: / Postal / Zip Code:

Province/Region: Country:

Contact Name: Tel. No.:

Name:

Address:

City: Postal / Zip Code:

Province/Region: Country:

Contact Name: Tel. No.:

General Description	Number of Items	Weight		Dimensions		
		Kilos	Gram	Length	Width	Height

მიმღები _____

პირადი № | | | | | | | | | | |

თარიღი _____ _____ 201 წ

ნაუბარებლობის მიზეზი _____

Date / / (Day/Month/Year) Date / / Time :

შ.პ.ს. "ხკს" ს/კ 204885810

ადამიანის უფლებების სწავლებისა და
მონიტორინგის ცენტრი (EMC)
ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის 12ბ, 0179